*პროექტი*

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო**
**განკარგულება №**
**—დეკემბერი 2023 წელი**

**ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, შანდორ პეტეფის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის შანდორ პეტეფის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, შანდორ პეტეფის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევს მიენიჭოს შანდორ პეტეფის I შესახვევის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **გიორგი ტყემალაძე**


01.17.07.030.677
01.01.834
01.19.36.016.009
01.17.13 03:028
01.17.10.003.121
01.17.10.005.087
01.17.10.002.272
01.17.10.002.039
01.17.10.002.005
01.17.10.006.007
01.17.10.002.001
01.17.10.006.005
01.17.10.002.044
01.17.10.002.215
01.17.10.003.108
01.17.10.003.009
01.17.12 05.050
01.17.12 6 05.036
01.17.21 6 05.131
01.17.11 8 05.041
01.17.10.005.088
N11
N9
NAPR

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-03223159**
თარიღი: **11/11/2022**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**მისამართი:** თავისუფლების მოედანი N2

19/03223156-03

ასლი:

**ადრესატი:** თამარი მესხი
**პირადი ნომერი:** 60001019905
**მისამართი:** თბილისი შანდორ პეტეფის ქუჩა N10

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის
კომისიის თავმჯდომარეს
ქ. ნინო ვარდოსანიძეს

ქალბატონო ნინო,

მოგახსენებთ,რომ 2022 წლის 11 ნოემბერს შუამდგომლობის თხოვნით მოგვმართა მოქალაქე თამარ მესხმა (19/03223156-03), რომელიც ცხოვრობს ისნის რაიონის, შანდორ პეტეფის N10 ქუჩაზე. როგორც განცხადებიდან ირკვევა მოსახლეობა ითხოვს აღნიშნულ ქუჩაზე ერთიანი ნუმერაციის დადგენას,რათა მოხდეს სამისამართო რეესტრის მონაცემებში არსებული უსწორობის კორექტირება.

გთხოვთ, განიხილოთ აღნიშნული განცხადება თქვენი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობის ფარგლებში, გაუწიოთ შესაბამისი დახმარება და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ გვაცნობოთ კანონით დადგენილ ვადაში.

დანართი 3 გვერდი

პატივისცემით,

კახაბერი ლაბუჩიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
მაჟორიტარი წევრი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

11/15/23, 9:36 AM
თამარ მესხი.jpg (2550×3300)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ისნის რაიონის მაჟორიტარ წევრს

ბატონ კახაბერ ლაბუჩიძეს

მოქალაქე: მესხი თამარ

მისამართი: შანდორ პეტეფის №10

ტელეფონი: 577 30 10 86

პ/ნ: 60001019905

## განცხადება

ბატონო კახაბერ,

შანდორ პეტეფის ქუჩაზე მცხოვრები მოსახლეობა, კოლექტიური მოთხოვნით მოგმართავთ და გაცნობებთ იმ მთავარი პრობლემის შესახებ, რომელიც 10 წელზე მეტია გვაწუხებს ამ ქუჩის მცხოვრებლებს.

მოგეხსენებათ, აღნიშნულ ტერიტორიაზე, ბოლო წლების მანძილზე არაერთი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი აშენდა, შესაბამისად, თითოეულ კორპუსს მიენიჭა ახალი ნუმერაცია, რომლებმაც გადაფარა ჩვენი სამისამართე მონაცემები (მოხდა ნუმერაციის დუბლირება).

დუბლირებული მისამართი იმთავითვე პრობლემას ქმნის, რადგან სასწრაფო-სამედიცინო, სახანძრო თუ ტაქსის სერვისის სრულფასოვნად მიღება შეუძლებელია. აღნიშნულ მისამართზე 60 წელზე მეტია ვცხოვრობთ და ჩვენთვის მნიშვნელოვანია ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდეს ეს პრობლემა.

გთხოვთ, შესაბამის სამსახურებთან ან უწყებებთან შუამდგომლობას, რათა მოხდეს სამისამართო რეესტრის მონაცემებში არსებული უსწორობის გასწორება და შანდორ პეტეფის ქუჩის ერთიანი ნუმერაციით დალაგება.

პატივისცემით, თ.

https://apps.gov.ge/apps/api/chancellery/chancelleryData/getFile/63a83fbc838bd111ad25e661/თამარ მესხი.jpg?bucketName=main
1/1

| შანდორ პეტეფის ქუჩის მაცხოვრებლები | | | | |
|---|---|---|---|---|
| N | გვარი, სახელი | პ/N | ტელეფონი | ხელმოწერა |
| 1 | [illegible] | 01012020277 | 597 75 94 71 | [illegible] |
| 2 | [illegible] | 01011065165 | 577 05 61 85 | [illegible] |
| 3 | [illegible] | 01011032683 | 597 73 35 34 | [illegible] |
| 4 | [illegible] | 61001018087 | 593 28 77 68 | [illegible] |
| 5 | [illegible] | 60001012318 | 577301089 | [illegible] |
| 6 | [illegible] | 38001013257 | 557751579 | [illegible] |
| 7 | [illegible] | 13001021740 | 577 42 16 14 | [illegible] |
| 8 | [illegible] | 38001012186 | 599 29 61 43 | [illegible] |
| 9 | [illegible] | 15001006337 | | [illegible] |
| 10 | [illegible] | 01012013682 | 555 45 87 04 | [illegible] |
| 11 | [illegible] | 01008028501 | - | [illegible] |
| 12 | [illegible] | 01016008392 | 597 17 89 99 | [illegible] |
| 13 | [illegible] | 01012003496 | 597 31 46 64 | [illegible] |
| 14 | [illegible] | 01012030200 | 71 95 13 | [illegible] |
| 15 | [illegible] | 01012028015 | 599 978 763 | [illegible] |
| 16 | [illegible] | 01012016197 | 555 58 66 55 | [illegible] |
| 17 | [illegible] | 01002015670 | 595 88 48 88 | [illegible] |
| 18 | [illegible] | 36001028924 | 577 193 763 | [illegible] |
| 19 | [illegible] | 52005029091 | 593 540 579 | [illegible] |
| 20 | [illegible] | 01012018662 | 577 195 278 | [illegible] |

# საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

## საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

KA011765893134222

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405


**# 212071**

**13 / დეკემბერი / 2022 წ.**

04-032234 744 03

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის
თავმჯდომარეს ქალბატონ ნინო ვარდოსანიძეს

ასლი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს მაჟორიტარ წევრს ბატონ კახაბერ
ლაბუჩიძეს

ქალბატონო ნინო,

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში - "სააგენტოს") წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის კახაბერ ლაბუჩიძეს მომართვა N03-03223159, 11.11.2022, რომლის თანახმად მოქალაქის განცხადებასთან დაკავშირებით, მოთხოვნილია შანდორ პეტეფის ქუჩით დამისამართებული ობიექტების მისამართების სისტემური წესით მოწესრიგება.

მოგახსენებთ, რომ აღნიშნულ შუამდგომლობასთან დაკავშირებით სააგენტომ უზრუნველყო ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩით დამისამართებული ობიექტების არსებული მისამართების შესწავლა. შესწავლის შედეგად იდენტიფიცირებულ იქნა შანდორ პეტეფის ქუჩასთან მიერთებული უსახელო გეოგრაფიული ობიექტი, რომლის სახელდებაც სააგენტოს შეფასებით, მიზანშეწონილია იმისათვის, რომ უძრავი ნივთების ნუმერაციისა და შანდორ პეტეფის ქუჩით დამისამართებული ობიექტების მისამართების კორექტირება განხორციელდეს ლოგიკური თანამიმდევრულობით (იხ. დანართი №1).

ამდენად, მოგმართავთ შუამდგომლობით შეაფასოთ დანართ № 1-ზე ასახული უსახელო გეოგრაფიული ობიექტი, ასევე, შესაბამისი ტერიტორია, იმსჯელოთ მისი სახელდების დასაშვებობაზე და დადებითი პასუხის შემთხვევაში „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე უზრუნველყოთ სახელდება (შენიშვნა: თანდართულ სიტუაციურ რუკებზე სააგენტოს მიერ მითითებული გეოგრაფიული ობიექტის კონტური წარმოადგენს პირობით მონიშვნას. სახელდების საჭიროების შემთხვევაში, მართებულად დაგეგმარებისთვის, გთხოვთ, თავად განსაზღვროთ გეოგრაფიული ობიექტის გავრცელების არეალი (დასაწყისი, დასასრული) და მისი ტიპი).

დამატებითი ინფორმაციის სახით გიგზავნით შანდორ პეტეფის ქუჩის სისტემური წესით ნუმერაციის პროექტს, მომზადებულს იმ დაშვებით, რომ მოხდება უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდება და რიგ უძრავ ნივთებს, რომლებიც ამჟამად დამისამართებულია შანდორ პეტეფის ქუჩიდან, მისამართები შეეცვლებათ და განესაზღვრებათ ახლად სახელდებული გეოგრაფიული ობიექტის გათვალისწინებით.

დანართი: 6 (ექვსი) გვერდი.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

**სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

**30 / ოქტომბერი / 2023 წ.** 06-03 23 30336-03

KA011707034782923

№ **233468**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
მაჟორიტარს ბატონ კახაბერ ლაბუჩიძეს

ასლი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის
კომისიის თავმჯდომარეს ქალბატონ ნინო
ვარდოსანიძეს

ასლი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო
სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელს (საქალაქო სამსახურის უფროსი)
ბატონ გიორგი აბუთიძეს

ასლი: ქალბატონ მარნინა ბარათელს (პ/ნ:
01012031681) მის.: ალ.წულუკიძის III შესახვევი, N 5,
ბინა 9

ბატონო კახაბერ,

მოგეხსენებათ, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილებას წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სამისამართო ობიექტების (მიწის ნაკვეთი, შენობა/ნაგებობა) ნუმერაცია, ისევე, როგორც სამისამართო რეესტრის წარმოება. ამასთან, „საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, ნომრის მინიჭება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სამისამართო ობიექტი განთავსებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით სახელდებული ქუჩის მიმდებარედ.

გაცნობებთ, რომ 2023 წლის 20 სექტემბერს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარედგინა მარინა ბარათელის (პ/ნ:01012031681) განცხადება (დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის ნომერი: 239714/17), რომლითაც მოთხოვნილია მისამართების მოწესრიგება შანდორ პეტეფის ქუჩასთან არსებულ გზის მონაკვეთზე.

საქმისათვის არსებითი მნიშვნლეობის მქონე გარემობების სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით, გთხოვთ, გაგვიწიოთ სამართლებრივი დახმარება და მოგვაწოდოთ ინფორმაცია თანდართულ სიტუაციურ ნახაზზე მითითებული უძრავი ნივთის მიმდებარედ არსებული გზის მონაკვეთი სახელდებულია თუ არა.

- დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდების, ტიპისა და მისი გავრცელების არეალის თაობაზე, ასევე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ სახელდების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის მოძიების შემთხვევაში).

საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის“ თანახმად განახორციელოთ გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

სახელდების საჭიროების შემთხვევაში, ქუჩათა და გზათა ქსელის მართებულად დაგეგმარებისთვის აუცილებელია მუნიციპალიტეტმა თავად განსაზღვროს გეოგრაფიული ობიექტის გავრცელების არეალი (დასაწყისი, დასასრული) და მისი ტიპი.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032335961**
თარიღი: **25/12/2023**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
**მისამართი:** თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას 2022 წლის 13 დეკემბრის საქმე #04-032234744-03 დაკავშირებით, საიდანაც ირკვევა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ისნის რაიონის მაჟორიტარი წევრი, კახაბერ ლაბუჩიძე N03-03223159 მიმართვის საფუძველზე ითხოვს ისნის რაიონში, შანდორ პეტეფის ქუჩის მიმდებარედ არსებული გეოგრაფიული ობიექტების დამისამართებას.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ შანდორ პეტეფის ქუჩასთან მდებარე უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 4 (ოთხი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი